THE POPULATION OF ZEMO KARCHOKHI VALLEY IN THE 60S OF THE 19TH CENTURY

ზემო ქარჩოხის ხეობის მოსახლეობა XIX საუკუნის 60-იან წლებში

DAVID AKHLOURI

Doctor of History Associate Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., №53, 1400, Georgia,
+995568990779, datoakhlouri@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-1068-4042

NUGZAR ABRAMISHVILI

Doctor of Philosophy,
Professor of Gori State Teaching Universty
Gori,Chavchavadze st.,#53,1400,Georgia,
+995577151212.nugzarabramishvili@gu.edu.ge
Http ps://orcid.org/0000-0001-5858-7906

Abstract: The paper talks about the population of Zemo Karchokhi valley in the 60s of the nineteenth century. The geographical area of the valley and the importance of the roads and paths there in the political and economic life of Ksni Saeristavo and the country are reviewed.

The notebooks of Samtavisi Sakdr of the X-XV centuries were studied, where we find the first information about the villages of the Karchokhi valley, we localize the villages that no longer exist today. Attention is paid to the "records" of the Georgian historian and geographer Vakhushti Batonishvili and the German traveler Johann (Anton) Guldenstedt, a participant of the expedition of the Imperial Academy of St. Petersburg, who visited Karchokh directly and left us important information about the population living here.

Important sources about the population of Karchokhi valley are the statistical descriptions of the Saeristavo of Ksni in the second half of the 18th century, the register of the seat of Samtavisi of the same period, the description of the Kingdom of Kartl-Kakheti. References of the royal census of Ioane Batonishvili of 1803, Russian chamber censuses, which are properly studied and compared with the chamber census of the 60s of the nineteenth century, which is given special attention due to the research topic. An important news is that the archival material of the given period is published for the first time.

According to the census of 1860, we can conclude that estates and serfs in the Karchokhi valley belonged to the lords: Mamuka Jambakur Orbeliani's Kneina Ketevan himself, Eristavas: Davit

Luarsab son, Alexander, Mikheil, Nikoloz Levan son, Revaz Luarsab son, Alexander Shanshe son, Elizbar Pavles son.

The population of Zemo Karchokhi valley was historically Georgian. Since the 18th century, Ossetians who emigrated from the North Caucasus have settled in several villages (Lomisi, Okhiri, Nazpoeti), who left these villages in the second half of the 20th century. Some of them moved to the bar of Kartli and Kakheti, some returned to the North Caucasus.

The past is compared with the present and with the demographic situation of the pre-occupation period in Karchokhi valley. The severe consequences of the August 2008 war in this area are highlighted. Today, the indigenous population of the Georgian valley has been expelled from their land and water and continues to live mainly in the refugee settlements of the villages of Mtskheti municipality: Frezeti and Tsreovani.

Key words: Zemo Karchokhi valley; statistical descriptions; fund; chamber lists; Komli; nobles of Ksni; Sabatono estate; migration; nasoflars; occupa

დავით ახლოური

ისტორიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძისქ., №53,1400, საქართველო,
+995568990779, datoakhlouri@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-1068-4042

ნუგზარ აბრამიშვილი

ფილოსოფიის დოქტორი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ჭავჭავაძის ქ.,53,1400, საქართველო
+995577151212nugzarabramishvili@gu.edu.ge
Http ps://orcid.org/0000-0001-5858-7906

აბსტრაქტი. ნაშრომში საუბარია ზემო ქარჩოხის ხეობის მოსახლეობაზე მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებში. მიმოხილულია ხეობის გეოგრაფიული არეალი და იქ არსებული გზა-ბილიკების მნიშვნელობა როგორც ქსნის საერისთავოს, ისე ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში.

შესწავლილია X-XV საუკუნეების სამთავისის საყდრის გამოსავლის დავთრები, სადაც ვხვდებით პირველ ცნობებს ქარჩოხის ხეობის სოფლების შესახებ, ვახდენთ დღეისათვის უკვე არარსებული სოფლების ლოკალიზებას. ყურადღება ეთმობა ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბატონიშვილისა და გერმანელი მოგზაურის, პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის ექსპედიციის მონაწილის იოჰან (ანტონ) გიულდენშტედტის „ჩანაწერებს“, რომლებიც უშუალოდ ეწვივნენ ქარჩოხს და აქ მცხოვრები მოსახლეობის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები დაგვიტოვეს.

ქარჩოხის ხეობის მოსახლეობის შესახებ მნიშვნელოვანი წყაროა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობები, ამავე პერიოდის სამთავისის საყდრის დავთარი, ქართლ-კახეთის სამეფოს აღწერა, 1803 წლის იოანე ბატონიშვილის საუფლისწულო აღწერის ცნობები, რუსული კამერალური აღწერები, რომლებიც სათანადოთაა შესწავლილი და შედარებულია მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლების კამერალურ აღწერასთან, რომელსაც საკვლევი თემიდან გამომდინარე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. მნიშვნელოვანი სიახლე ისიც, რომ მოცემული პერიოდის საარქივო მასალა ქვეყნდება პირველად.

1860 წლის აღწერით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზემო ქარჩოხის ხეობაში მამულები და ყმები ეკუთვნოდათ მებატონეებს: თავად მამუკა ჯამბაკურ ორბელიანის კნეინა ქეთევანს, ერისთავებს: დავით ლუარსაბის ძეს, ალექსანდრე, მიხეილ, ნიკოლოზ ლევანის ძეებს, რევაზ ლუარსაბის ძეს, ალექსანდრე შანშეს ძეს, ელიზბარ პავლეს ძეს.

ქარჩოხის ხეობის მოსახლეობა ისტორიულად ქართული იყო. XVIII საუკუნიდან რამდენიმე სოფელში (ლომისი, ოხირი, ძაბოეთი) დამკვიდრდნენ ჩრდილო კავკასიიდან გადმოსახლებული ოსები, რომლებმაც XX საუკუნის მეორე ნახევარში დატოვეს ეს სოფლები. მათი ნაწილი ქართლისა და კახეთის ბარში გადასახლდა, ნაწილი ჩრდილო კავკასიაში დაბრუნდა.

წარსული შედარებულია თანამედროვეობასთან და ქარჩოხის ხეობაში ოკუპაციამდელ პერიოდის დემოგრაფიულ ვითარებასთან. გამოკვეთილია ის მძიმე შედეგები, რაც ამ მხარეში 2008 წლის აგვისტოს ომს მოჰყვა. ძირძველი ქართული ხეობის მოსახლეობა დღეს საკუთარი მიწა-წყლიდან გამოდევნილია და ძირითადად მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლების: ფრეზეთისა და წეროვანის ლტოლვილთა დასახლებებში აგრძელებს ცხოვრებას.

საკვანძო სიტყვები: ზემო ქარჩოხის ხეობა; სტატისტიკური აღწერილობები; ფონდები; კამერალური სიები; კომლი; ქსნის ერისთავები; საბატონო მამული; მიგრაცია; ნასოფლარები; ოკუპაცია.

შესავალი

ქარჩოხი თავისი გეოგრაფიული არეალითა და მდიდარი ისტორიული წარსულით ერთ-ერთი გამორჩეული ხეობაა საქართველოში, მდებარეობს ქსნის სათავეებთან, ლომისის წმინდა გიორგის სალოცავის სამხრეთით.

„ქსნის-ხევისა და მამულისა მისისა" აღწერისას ცნობილი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „მდინარე ქსნისა ოძის ზეით, ბაზალეთისა და ალევის მთის დასავლით დის და გამოსდის ქნოღოს ჟამურის საშუალს კავკასს, ქარჩოხამდინ დის აღმოსავლეთად, ქარჩოხს ქუეით სამხრით გაივლის მუხრანს და მიერთვის მტკუარს..." ცხრაზმის ხევის ჩრდილოეთით კი მიგვითითებს ქარჩოხის ციხეზე: „ამ ხევს ზევით, ჩრდილოთკენ, არც ციხე ქარჩოხისა, ქსნისა პირსა ზედა, ლომისიდამ ჩამოსულს კლდესა ზედა. უდის სამხრით ქსანი და აღმოსავლით ხევი, ლომისის მთის გამომდინარე, და აღვალს აქედამ გზა ლომისის ეკლესიისა თანა და შთავალს მთიულეთს. ხოლო ქარჩოხის დასავლით არს ქსანსა ზედა ჟამური

(ბატონიშვილი ვახუშტი, 1973: 359-360). როგორც ვახუშტის აღწერიდანაც ჩანს, ქარჩოხს მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობა ეკავა. ლომის-ოხირის გადმოსასვლელით არაგვის ხეობიდან გადმოდიოდა გზა-ბილიკი და ქარჩოხის ხეობაში რამდენიმე განშტოებად იყოფოდა. ერთი განშტოება მდინარე ქსანს მოჰყვებოდა სამხრეთით და ახალგორში „საქალაქო გზას უერთდებოდა, მეორე განშტოება ჩრდილოეთისაკენ მიემართებოდა და ჟამურზე გავლით დვალეთში გადადიოდა. ხოლო მესამე განშტოება დასავლეთით მიდიოდა და ძაბუეთ-ხოზუეთზე გავლით ჭურთის, რეხულის, ისროლის ხევს ჰკვეთდა და მეჯვრისხევში ჩადიოდა. იყო სხვა გადმოსასვლელები და გზა-ბილიკებიც. კერძოდ, ცხრაძმის ე.წ. უკანუბნის, დადიანეთის, ცხავატის, საფერშეთის, ალევის და სხვა, რომელიც არაგვის ხეობასა და ქსნის ხეობას აკავშირებდა“ **(გვრიტიშვილი, 1955: 63-64; ახლოური, 2022 ა: 98).** ქარჩოხის ციხე ქსნის საერისთავოს გარესამყაროსთან დამაკავშირებელ რამდენიმე მნიშვნელოვან გზა-ბილიკს იცავდა, განსაკუთრებით საყურადღებო იყო „ჩრდილოეთის გზა“. თუ მტერი არაგვის ხეობას დაიმორჩილებდა, ლომის-ოხირის გადმოსასვლელით ქსანზე გადმოსვლას შეძლებდა და ქართლის ბარისკენ გადაადგილდებოდა. ამიტომაც ქარჩოხის გამაგრება ყოველთვის იდგა დღის წესრიგში. დავით მერვემ განდგომილი შალვა ერისთავის წინააღმდეგ ბრძოლისას ქსნის ხეობის რამდენიმე ციხე აიღო, ქარჩოხის, იგივე ცხმორის ციხეს კი ვერაფერი დააკლო **(მესხია, 1954: 345).** 1625 წელს მარაბდის ველზე განცდილი მარცხის შემდეგ, სწორედ ქარჩოხის ციხესთან მოხდა ქსნის ხეობის მთიანეთში გამართული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბრძოლა. ყიზილბაშთა მეთაურმა ისა-ხან ყორჩიბაშმა 12 000 მეომარს ხოსრო-მირზა (შემდგომში როსტომი), შირვანის ბეგლარბეგი ყაზახ-ხანი, აზერბაიჯანის ბეგლარბეგი შაჰ-ბენდე-ხანი უსარდლა და თერგის ხეობაში არშის ციხის ასაღებად გაგზავნა, სადაც ქართველებს ყიზილბაშთა მომხრე ანდუყაფარ ამილახვარი და მისი მეუღლე ყორჩიბაშის ასული ჰყავდათ გამომწყვდეული. სპარსელებს ტყვეები გაუთავისუფლებიათ და თბილისისკენ წამოსულან, მაგრამ მტერს ქსნის ხეობაში გიორგი სააკაძე დაუხვდა თავის ქართველებით. სამდღიანი ბრძოლის შემდეგ, ირანის შაჰის რჩეული მხედრობა მთლიანად განადგურდა. ხოსრო-მირზამ მცირე რაზმით მოახერხა ალყის გარღვევა და თბილისში ჩასვლა.

ამ ისტორიული მოვლენის აღსანიშნავად, 2008 წლის აგვისტოს ომამდე ციხის ტერიტორიაზე სახალხო დღესასწაული - „ქარჩოხობა" იმართებოდა... **(ახლოური, 2022 ბ: 210-211)**

თავის ჩანაწერებში ქარჩოხის ხეობას ახსენებს გერმანელი მოგზაური იოჰან (ანტონ) გიულდენშტედტი, რომელიც XVIII საუკუნის 70-იან წლებში ესტუმრა ქსნის საერისთავოს. იგი 1772 წლის 1 ოქტომბერს ლარგვისიდან ლომისის გადავლით რუსეთში გაემგზავრა, რამაც საშუალება მისცა მოენახულებინა და ქსნის ხეობის სოფლების ჩამონათვალში აღენუსხა ქარჩოხის ხეობის სოფლები **(ახლოური, 2007: 36).** ლომისის მხარის (ასე მოიხენიებს იგი ძირითადად ქარჩოხის ხეობას) სოფლებზე საუბრისას ასახელებს საბადოებს: „ლომისი, ჟამურს ქვემოთ, საფერშეთის ახლოს, ზემოთ ქსნის მარცხენა სანაპიროზე. იქ არის საბადოები. მისი სოფლებია: „1. ცალკარი; 2. შმორის ციხე (ცხმორის, იგივე ქარჩოხის ციხე - დ. ა.); 3. ქარელ(თკარ)ი (კარელთკარი - დ.ა.); 4. შატაკიანთკარი; 5. ბალახა(ნთკა)რი (ბალხამიანთკარი - დ.ა.); 6. ძაბოეთი; 7. ხოზოეთი; 8. კვერნეთი (კვერიათი - დ.ა.); 9. ჭორჭოხი; 10. მიდელა(ა)ნთკარი; 11. ხარბალი (ქარჩოხს არ მიეკუთვნებოდა, მდებარეობს მის სამხრეთით, ლარგვისთან ახლოს - დ. ა.); 12. ქენქა(ა)ნთკარი; 13. ბეგუანთკარი (ბეჟუანთკარი, ნასოფლარ გოლგოლეთის ერთ-ერთი უბანი - დ.

ა.); 14. ყველდაბა (მდებარეობს ცხრაზმის ხეობაში, ქარჩოხის სამხრეთ-აღმოსავლეთით - დ. ა.) **(გიულდენშტედტი, 1962: 63).** მოგზაური ქარჩოხთან ქსანზე კირქვის ნაპრალებში მიგვითითებს ფიქლებრივ თიხაზე „სპილენძის ლურჯათი“.

მეთოდები

საკითხის კვლევისას ვიყენებთ თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებაში აპრობირებულ მეთოდებს. ვახდენთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის შესახებ არსებული წყაროებისა თუ სხვა ისტორიული მასალის კრიტიკულ გააზრებას, რომლის დროსაც გამოყენებულია შინაარსობრივი ანალიზისა და დაკვირვება-შედარების მეთოდები. ანალიზის მეთოდი საშუალებას გვაძლევს წარმოვაჩინოთ ზემო ქარჩოხის ხეობაში საუკუნეების მანძილზე არსებული სოფლები, რომელთა უმრავლესობაც დღეს უკვე ნასოფლარებადაა ქცეული. დაკვირვება-შედარების მეთოდი გვეხმარება მოვახდინოთ წყაროებში მოხსენიებული სოფლების ლოკალიზება და განვსაზღვროთ იქ არსებული ისტორიული რეალობა... ნაშრომის შეჯამება ხდება კვლევის სისტემური ანალიზით.

შედეგები

ნაშრომში მოძიებულია ზემო ქარჩოხის ხეობის სოფლების შესახებ არსებული ისტორიული ცნობები. მიმოხილულია ხეობის ხუროთმოძღვრული ძეგლები, გარესამყაროსთან დამაკავშირებელი გზები, მნიშვნელოვანი ბრძოლები, რაც ამ ხეობისა და ქვეყნის წარსულს უკავშირდება. გაანალიზებულია ქართლის მთიანეთის ამ უძველეს ხეობაში საუკუნეების მანძილზე არსებული სოციალური ურთიერთობები, გლეხთა კატეგორიები, ეკონომიკური ყოფა, დემოგრაფიული, რელიგიური და კულტურული მდგომარეობა. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებში არსებულ ვითარებას. ჩვენს მიერ პირველად ქვეყნდება 1860 წლის კამერალური აღწერის მონაცემები, რაც ნათელ სურათს გვიქმნის იმ დროინდელი ქარჩოხის ხეობის შესახებ. შედეგად, ნაშრომში, თავისი ისტორიით, წარმოჩენილია თითქმის ყველა ის სოფელი, რომელიც ზემო ქარჩოხის ხეობაში ოდესღაც არსებობდა და თავის როლს ასრულებდა საქართველოს ცხოვრებაში.

დისკუსია (მსჯელობა)

ქარჩოხის ხეობის პირველი სოფელი ელოიანია, ბოლო - ჭორჭოხი. ხეობის ადმინისტრაციული ცენტრი ისტორიული სოფელი ახალდაბა იყო, რომელსაც XIX საუკუნიდან, აქ დამკვიდრებული ბალაშვილების გვარის დომინაციიდან გამომდინარე ბალაანი ეწოდა.

ზოგადად, ქარჩოხის ხეობის სოფლები ისტორიულ წყაროებში X საუკუნიდან გვხვდება. როგორც ს. მაკალათია წერს, ქარჩოხის ხეობის სოფლებიდან „ჭორჭოხი, ყაზოთი (ხოზოეთი - დ. ა.) და ქარჩუხი დასახელებულია სამთავნელის სარგოს X საუკუნის წიგნში“ **(მაკალათია, 1968: 106).** სამთავნელის სარგოს X საუკუნისა და XV საუკუნის სამწყსოს დრამისა და შესავლის გარიგების წიგნებში აღნიშნული სოფლების გარდა მოხსენიებულია ახალდაბა (ბალაანი), ანრაწმინდული (ანდრიაწმინდული), გოგოეთი (გოლგოლეთი), ძაბლეთი (ძაბოეთი), კვერიეთი (კვერიათი) **(კაკაბაძე, 1929: 5-15; ჯავახიშვილი, 1974: 10)...** სერგი მაკალათიას ქსნის ხეობაში სტუმრობის დროს ამ სოფლების დიდი ნაწილი ნასოფლარი იყო ან სახელშეცვლილი, რის გამოც ღვაწლმოსილ მკვლევარს შეიძლება მხედველობიდან გამორჩენოდა.

XVIII საუკუნის ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობის (1783 წელი) მიხედვით, ზემო ქარჩოხის ხეობაში 5 სოფელი შედიოდა: შატაკიანთკარი (დოჩიანი), პავლიანთკარი, თინიკაანთკარი, ვაკე (კარელთკარი), კვერიათი (წიპტაურები) **(თაყაიშვილი, 2022: 650-654).** საერისთავოს აღწერაში ნაჩვენები არ არის ზემო ქარჩოხის ხეობის სოფლები: ლომისი და ოხირი, სადაც იმ დროისთვის უკვე სახლობდნენ ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლებული ოსები. ეს სოფლები მითითებულია XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქსნის ოსთა საკომლო მამულების ნუსხაში **(ჯავახიშვილი, 1974: 188).**

1794-1799 წლების ქართლ-კახეთის აღწერის დროს ქარჩოხის ხეობა მეფის ძეს იოანეს ეკუთვნოდა: „ქ. ქარჩოხი ხეობა არს. სოფელი 7, მოსახლენი

ქ. ამასვე მიეწერება ოსები, მოსახლენი

ქ. ლომისა, მოსახლენი

ქ. ოხირი, მოსახლენი“ **(ბაგრატიონი იოანე, 1986: 37).**

იოანე ბატონიშვილის 1803 წლის საუფლისწულო აღწერის შეჯამებით ცნობებში კვლავ ცალკეა გამოკვეთილი ხეობის ოსებითა და ქართველებით დასახლებული სოფლები **(Акты, 1868: 82).**

1804 წელს, პირველი რუსული კამერალური აღწერის მიხედვით:

სოფელი თინიკაანთკარში თავად რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (რუსული ტექსტი):

კომლი 1. ბერუა ბასილის ძე დივანბეგიშვილი - 35 წლის,

ამისი ძმა მოსე - 20 წლის, გაშვებული იყო (გაშვებული გულისხმობს წინა კამერალურ აღწერაში გამორჩენილს ან გამოტოვებულს).

რიცხვი დედაკაცთა - 2.

კომლი 2. ნიკო ნინიას ძე დივანბეგიშვილი - 15 წლის, ახალშობილი.

ამისი ძმა გამიხარდი - 10 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 1.

კომლი 3. ნინიკა ოგბაძეს ძე ოგბაძე - 20 წლის, გაშვებული იყო.

რიცხვი დედაკაცთა მითითებული არ არის.

კომლი - 3. მამრნი - 5. მდედრნი - 3.

კამერალური სია შედგენილი 1860 წლის 14 თებერვალს.

სოფელი თინიკაანთკარში ლევანის ძეების: ალექსანდრე, მიხეილ, ნიკოლოზ ერისთავების საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (ქართულ-რუსული ტექსტი):

კომლი 1 (4). სოსიკა სიხარულის ძე თინიკაშვილი - 44 წლის,

ამისი შვილები: 1. საბრალო - 11 წლის, ახალშობილი,

2. ზაქარა - 7 წლის, ახალშობილი.

სოსიკას ძმა აბრამ - 30 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 6.

კომლი 2 (5). გიგო გიორგის ძე თინიკაშვილი - 26 წლის,

ამისი ძმისწული გაბიდა ნინიკას ძე - 13 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 2.

კომლი - 2. მამრნი - 6. მდედრნი - 8.

ტექსტს ახლავს მინაწერი: „ყოველნი სოფლის კუთვნილნი სახლობანი და მათ შორის სულნი თხუთმეტის რიცხვისა შინა თებერვლისასა 1860 წელსა ამას სიასა შინა ჩვენებულ არიან ჭეშმარიტად და გაშვებულნი არ არიან. ხოლო უკეთუ შემდეგ ამისა აღმოსჩნდეს შთამატებული რაიმე, მაშინ ვიყვეთ პასუხის მგებელი საფუძველსა ზედა კანონთასა შედგენისათვის ამა აღწერისა, რომელზედაც ხელს ვაწერ თ˜ა ალექსანდრე ლევანის ძე ერისთავი“ (ხელმოწერილია).

კამერალური სია შედგენილი 1860 წლის 16 მარტს.

სოფელ თინიკაანთკარში დავით ლუარსაბის ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (რუსული ტექსტი):

კომლი 1 (6). გიორგი ნინიას ძე თინიკაშვილი - 30 წლის, გაშვებული იყო,

ამისი შვილები: 1. ანდრია - 20 წლის (წაშლილია 25),

2. სოსიკა - 20 წლის, გარდაიცვალა 1860 წელს,

3. მანძულა - 16 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 4.

კომლი 2 (7). ლუა გიგოლას ძე თინიკაშვილი - 15 წლის, ახალშობილი,

ამისი ძმები: 1. პეტრე - 13 წლის, ახალშობილი,

2. გიგია - 8 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 2.

კომლი - 2. მამრნი - 7. მდედრნი - 6.

დადასტურებულია დავით ლუარსაბის ძე ერისთავის მიერ.

სოფელ თინიკაანთკარში გენერალ მაიორის თავად მამუკა ჯამბაკურ ორბელიანის კნეინა ქეთევანის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (ქართულ-რუსული ტექსტი):

კომლი 1 (8). გაბიდა შარმაზანის ძე თინიკაშვილი - 65 წლის, გაშვებული იყო,

ამისი შვილები: 1. აბრამ - 30 წლის,

2. ნინია - 20 წლის,

3. აღდგომელა - 15 წლის, ახალშობილი.

შვილი აბრამისა გიორგი - 3 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 3.

კომლი 2 (9). საბრალო თევდორეს ძე თინიკაშვილი - 30 წლის, გაშვებული იყო,

ამისი შვილი თევდორე - 2 წლის, ახალშობილი,

ამისი ძმა დავით - 15 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 2.

კომლი 3 (10). ნინია ხახალას ძე თინიკაშვილი - 55 წლის,

ამისი შვილები: 1. გაბიდა - 20 წლის,

2. გიორგი - 15 წლის, ახალშობილი,

3. დათიკა - 8 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 4.

კომლი 4 (11). ბერი ნინიას ძე თინიკაშვილი - 50 წლის,

ძმიშვილები ბერისა, მახარობელის ძენი: 1. სოსია - 32 წლის,

2. თევდორე - 24 წლის,

3. ქიტესა - 15 წლის, ახალშობილი.

სოსიას შვილები: 1. ივანე - 4 წლის, ახალშობილი,

2. ზაქარა - 2 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 4.

სულ სოფელ თინიკაანთკარში ცხოვრობს 11 კომლი. მამრნი - 36. მდედრნი - 30 (66 სული). ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები.

შემაჯამებელ ცნობებს ხელს აწერს ქარჩოხის ხეობის ნაცვალი გიგო კარელიძე და აღმორჩეული კაცნი სოსიკა და გაბიდა თინიკაშვილები, რადგან ამათ წერა არ იცოდნენ, ამათი თხოვნით და ხელის ჩამორთმევით ხელს აწერს ისაკ დურგლიოვი (დურგლიშვილი) (ხელმოწერილია). **(სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 252, ფურ. 322-329).**

ტრადიციულად, დომინანტი გვარი თინიკაშვილია, 11 კომლიდან 8 კომლი, 31 მამაკაცი და 27 ქალი (58 სული). 2 კომლი შადნიაშვილები არიან, 4 მამაკაცი, 2 ქალი, რომლებიც 1804 წლის აღწერაშიც გვხვდებიან. 1 კომლი ოგბაძეა, რომელიც დაოჯახებული არაა. ოგბაძე აქ ქარჩოხის ხეობის კიდევ ერთი სოფლიდან, თინიკაანის სამხრეთით მდებარე ხოზოეთიდანაა მოსული. მოგვიანებით გვარმა ცვლილება განიცადა და დღეს ობგაძეებად იწერებიან. ბალაშვილების მსგავსად თინიკაშვილებშიც გვხვდება საკუთარ სახელად ქცეული თავდაპირველი გვარის ფუძე - გაბიდა.

მძიმე დაღი დაასვა 2008 წლის აგვისტოს ომმა ქარჩოხის ხეობის სახევისთავოს ძველ ცენტრს, დღეს იგი უკვე ნასოფლარია. როგორც ვ. ქენქაძე წერს: „დიდი წარსულის მქონე სხვადასხვა გვარებისა და სოფლების წარმომომშობ სოფელში 2010 წლის მობრძანებას აღარც კაცი შეხვედრია და აღარც ბავშვი“ **(ქენქაძე, 2010: 34).**

კამერალური სია შედგენილი 1860 წლის 16 მარტს.

სოფელ კარელთკარში თავად დავით ლუარსაბის ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (რუსული ტექსტი).

წყაროში გვარი მოხსენიებულია როგორც კარალიძე, რასაც ქვემოთ ვასწორებთ.

კომლი 1. ქიტესა გლახას ძე კარელიძე - 15 წლის, ახალშობილი,

ამისი ძმები: 1. გიგია - 10 წლის, ახალშობილი,

2. თედო - 8 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 1.

კომლი 2. საბრალო გიგოლას ძე კარელიძე - 4 წლის, ახალშობილი,

ამისი ძმა ზაქარა - 2 წლის, ახალშობილი,

რიცხვი დედაკაცთა - 2.

კომლი 3. სოსიკა ელიბოს ძე კარელიძე - 40 წლის, გაშვებული იყო.

რიცხვი დედაკაცთა - 2.

კომლი - 3. მამრნი - 6. მდედრნი - 5.

სოფელ კარელთკარში ალექსანდრე შანშეს ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (რუსული ტექსტი):

კომლი 1 (4). გიორგი გრიგორის ძე კარელიძე - 40 წლის,

ამისი ძმები: 1. სოსიკა - 39 წლის, გაშვებული იყო,

2. გიგო - 33 წლის, გაშვებული იყო.

შვილები სოსიკასი: 1. ივანე - 8 წლის, ახალშობილი,

2. მალხაზი - 5 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 2.

კომლი 2 (5). ხოსრო სვიმონის ძე კარელიძე - 40 წლის, გაშვებული იყო,

ამისი ძმა გლახა - 35 წლის.

ძმიშვილი ხოსროსი ქიტესა სოსიას ძე - 15 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 3.

კომლი 3 (6). გლახა ნინიას ძე ხოკრიშვილი - 50 წლის,

ამისი შვილები: 1. შალიკო - 20 წლის, გაშვებული იყო,

2. მალხაზი - 15 წლის, ახალშობილი.

ძმიშვილი გლახასი ივანე აბრამის ძე - 15 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა მითითებული არ არის.

კომლი 4 (7). ნინიკა ბეროს ძე ხოკრიშვილი - 40 წლის, გაშვებული იყო,

შვილები ნინიკასი: 1. გაბო - 7 წლის, ახალშობილი,

2. სოსე - 3 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 3.

კომლი - 4. მამრნი - 15. მდედრნი - 8.

სულ სოფელ კარელთკარში 7 კომლი, მამრნი - 21. მდედრნი - 13 (34 სული). ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები.

შემაჯამებელ ცნობებს ხელს აწერენ ქარჩოხის ხეობის ნაცვალი გიგო კარელიძე და აღმორჩეული კაცნი გლახა ხოკრიშვილი და ხოსრო კარელიძე, რადგანაც ამათ წერა არ იცოდნენ, ამათი თხოვნით ხელს აწერს ისაკ დურგლიოვი (დურგლიშვილი) **(სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 252, ფურ. 450-454).**

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის აღწერებში კარელთკარი ვაკის სახელით იყო ცნობილი. 1803 წლით დათარიღებულ იოანე ბატონიშვილის საუფლისწულო და 1804 წლის კამერალურ აღწერებში უკვე კარელთკარია მითითებული, რაც აქ მოსახლე გვარის დომინაციითაა გამოწვეული. XIX საუკუნის 60-იან წლებში აქ ორი გვარი ცხოვრობდა კარელიძეები - 5 კომლი, 14 მამაკაცი და 10 ქალი (24 სული) და ხოკრიშვილები - 2 კომლი, 7 მამაკაცი და 2 ქალი (9 სული). ამ სოფელში ეს ორი გვარი XVIII საუკუნეშიც გვხვდება, XIX საუკუნის დასაწყისში კი წიპტაურების ერთი კომლსაც უცხოვრია, უფრო ზუსტად ერთ მამაკაცს გლახა წიპტაურს.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ სოფელი კარელთკარიც უკვე ნასოფლარია.

კამერალური სია შედგენილი 1859 წლის 29 დეკემბერს

სოფელ ლომისაში გენერალ მაიორ თავად მამუკა ჯამბაკურ ორბელიანის კნეინა ქეთევანის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (ქართულ-რუსული ტექსტი):

კომლი 1. გარსი ჩინოს ძე გურჭისშვილი - 30 წლის,

ამისი შვილები: 1. გიგო - 9 წლის, ახალშობილი,

2. ვანო - 5 წლის, ახალშობილი,

3. ნიკოლოზ - 1 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 3.

კომლი 2. ხამირზა ყიმილას ძე ქისიშვილი - 70 წლის,

ამისი შვილები: 1. თათულა - 30 წლის,

2. ბათრაჯა - 20 წლის,

3. გლახა - 15 წლის, ახალშობილი.

თათულას შვილი თედო - 2 წლის.

ბათრაჯას შვილები: 1. დიბო - 3 წლის, ახალშობილი,

2. ზაქარა - 1 წლის, ახალშობილი.

ხამირზას ძმის ტატუჩას შვილი ზაქარა - 20 წლის.

ხამირზას შვილის ჩიხოს შვილი ლექსა - 12 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 10.

რუსულ ტექსტში ხამირზას ოჯახი ორ კომლადაა გაყოფილი. ცალკეა გამოყოფილი ხამირზას ვაჟის ბათრიჯას ოჯახი, რომელშიც ასევე შედის, ზაქარა ტატუჩას ძე და ლექსა ჩიხოს ძე, რის გამოც რუსულ ტექსტში მომდევნო კომლების ნუმერაციაც შეცვლილია.

კომლი 3. სვიმონ ოსბეგას ძე ფერსაშვილი - 40 წლის,

ამისი ძმა ყანიმათა - 32 წლის,

ამისი შვილები: 1. ბეგლარ - 4 წლის, ახალშობილი,

2. გრიგოლ - 1 წლის, ახალშობილი.

სვიმონის ბიძის თოთრას ძე(ები): 1. გიორგი - 30 წლის,

2. ზაქარა - 20 წლის (რუსულ ტექსტში - 10 წლის, ახალშობილი).

სვიმონის ბიძის ზოზრას ძე(ები): 1. მალხაზ - 12 წლის, ახალშობილი (რუსულ ტექსტში - 19 წლის),

2. ბეგა - 5 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 8.

კომლი 4. გიორგი ქუქუს ძე გიჟოშვილი - 70 წლის,

ამისი შვილები: 1. საამ - 30 წლის,

2. ანდრია - 2 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 3.

კომლი 5. დავით გიორგის ძე გიჟოშვილი - 40 წლის,

ამისი შვილი ალექსი - 8 წლის, ახალშობილი

დავითას ძმა ლუა - 30 წლის.

ამისი შვილები: 1. ზაქარა - 10 წლის, ახალშობილი,

2. მიხაილ - 6 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 5.

კომლი 6. თუშა ჯიოს ძე გიჟოშვილი - 38 წლის,

თუშას ბიძის გიორგის შვილი რევაზა - 29 წლის,

ამისი შვილები: 1. ნანე - 4 წლის, ახალშობილი,

2. სოსიკა - 2 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 5.

კომლი 7. ფინი ებას ძე ფერსაშვილი - 60 წლის,

ამისი შვილები: 1. სოლომან - 25 წლის,

2. სოსე - 20 წლის,

3. ესტატე - 15 წლის, ახალშობილი,

4. მუშკა - 10 წლის, ახალშობილი,

5. გაბილა - 7 წლის, ახალშობილი.

ფინის ძმა რუხი - 40 წლის,

ამისი შვილები: 1. ომანა - 20 წლის,

2. ლუა - 15 წლის,

3. ივანე - 10 წლის,

4. ნინიკა - 5 წლის,

5. შიო - 2 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 5.

რუსულ ტექსტში ფინის ოჯახი ორ კომლადაა გაყოფილი. ცალკეა გამოყოფილი ფინის ძმის რუხის ოჯახი.

კომლი 8. ლექსა ხუსტის ძე ყარაშვილი - 20 წლის,

ამისი ძმები: 1. მოსე - 15 წლის, ახალშობილი,

2. ქუჩურა - 10 წლის, ახალშობილი, გარდაიცვალა 1860 წელს,

3. ომანა - 5 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 5.

კომლი 9. თოთრო საამას ძე ყარაშვილი - 50 წლის,

თოთრის ძმის ლევანას შვილები: 1. მირიმან - 10 წლის, ახალშობილი,

2. ანდრია - 8 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 6.

კომლი - 9, მამრნი - 52, მდედნი - 50 (სულ 102 სული). ოსები, მართმადიდებელი ქრისტიანები.

ტექსტს ახლავს დამადასტურებელი მინაწერი: ყოველნი სოფლის კუთვნილნი სახლობანი და მათ შორის სულნი დეკემბრის 28-ს 1859-ს წელს ამა სიასა შინა ჩვენებულ არიან ჭეშმარიტად და გაშვებულნი არ არიან. ხოლო უკეთუ შემდეგ ამისა აღმოსჩნდეს შთამატებული რაიმე მაშინ ვიყვნეთ პასუხის მგებელნი საფუძველსა ზედა კანონთასა შედგენისათვის ამა აღწერისა, რომელსა ზედაც ხელს ვაწერთ კნეინა ქეთევან ჯამბაკურიან ორბელიანოვის მოურავნი: სოსია მამამთავრის შვილი, ხოსრო ბალაშვილი, და ნინიკა პავლე შვილი. რადგანაც ამათ წერა არ იცოდნენ, ამათის თხოვნით და ხელის ჩამორთმევით ხელს ვაწერ სვიმონ ბეჟანის ძე გიგაური. **(სეასცა, ფ. 254, ან 2. საქმე 255, ფურ. 80-83).**

ლომისი ისტორიული ქართული სოფელი იყო, ამჯერად ნასოფლარია. სახელწოდება ლომისის წმინდა გიორგის სახელთანაა დაკავშირებული, რომელიც წინაქრისტიანული მთვარის ღვთაება იყო, რომლის ადგილზეც VIII-IX საუკუნეებში ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლი აუგიათ. სწორედ ლომისის ქედის დაყოლებაზე იკვეთება ადრინდელი საცხოვრებლის კვალი **(ახლოური, 2022 ბ: 189-190).**

XVIII საუკუნის 30-იან წლებში ქარჩოხის ხეობაში ოსები ჯერ კიდევ არ ჩანან, ვახუშტი ბატონიშვილის „კსნის-ხევისა და მამულისა მისისა“ აღწერაში, ლომისაზე საუბრისას, მის დასავლეთით მდებარე ჟამურისგან განსხვავებით ოსებზე არაფერია ნათქვამი **(ბატონიშვილი ვახუშტი, 1973: 355).**

ქსნის ხეობის ოსების საკომლო მამულების ნუსხაში, რომელიც, ჩემი აზრით, XVIII საუკუნის ბოლო პერიოდით უნდა დათარიღდეს, ლომისისა და ოხირის ოსები 14 კომლია **(ჯავახიშვილი, 1974: 188).** 1803 წლის იოანე ბატონიშვილის საუფლისწულო აღწერის მონაცემებით ლომისაში 5 კომლი ცხოვრობდა, 14 მამაკაცი და 7 ქალი (21 სული) **(Акты, 1868: 82).** მომდევნო წლის რუსულ კამერალურ აღწერაში კი 8 კომლია მითითებული, 31 მამაკაცი და 29 ქალი (60 სული), რაც წინა წლის აღწერასთან შედარებით მკვეთრად განსხვავებულია. 1804 წლის აღწერაში ვხვდებით: კასაშვილებს, არსიშვილებს, გაჯაშვილებს, გუალიშვილებს, ხოჯაშვილებს. 1860 წლის მონაცემებით კი ლომისის ოსური მოსახლეობა გაორმაგებულია. აქ მკვიდრობდნენ: გურჭიშვილები (გურწიშვილები) - 1 კომლი, 4 მამაკაცი, 3 ქალი, ქისიშვილები - 1 კომლი, 9 მამაკაცი, 1 ქალი, ფერსაშვილები - 2 კომლი, 20 მამაკაცი, 13 ქალი, გიჟოშვილები (გიზოშვილები) - 3 კომლი, 12 მამაკაცი, 13 ქალი, ყარაშვილები - 2 კომლი, 7 მამაკაცი, 12 ქალი.

ლომისა იქ მცხოვრები გვარების მიხედვით რამდენიმე უბნად იყო დაყოფილი: ქისიანი, ფერსაანი, გიზოანი, გოჭიანი, გასიანი, გურწიანი...

1970 წლის საკავშირო აღწერის მიხედვით, ქარჩოხის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფელ ლომისაში 4 მცხოვრები იყო დარჩენილი, 2 მამაკაცი და 2 ქალი. 1979 წლის აღწერაში კი ეს სოფელი აღარ გვხვდება **(საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020).** სოფლის

ბოლო მაცხოვრებლები ფერსაევები, გურწიევები და ქისიევები იყვნენ. ლომისელი ოსები ძირითადად, ქართლის ბარში და ჩრდილოეთ კავკასიაში გადასახლდნენ.

კამერალური სია შედგენილი 1859 წლის 29 დეკემბერს.*სოფელი ოხირში* გენერალ მაიორის თავად მამუკა ჯამბაკურ ორბელიანის კნეინა ქეთევანის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (ქართულ-რუსული ტექსტი):

კომლი 1. მიშო მარტიას ძე გილოშვილი (გოლოშვილი) - 40 წლის,

ამისი ძმები: 1. შიო - 30 წლის,

2. ლევან - 25 წლის.

შიოს შვილი გლახა - 8 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 5.

კომლი 2. ჟღარა ივანეს ძე გულარისშვილი - 50 წლის (რუსულ ტექსტში- 40),

ამისი ძმები: 1. გრიგოლ - 40 წლის (რუსულ ტექსტში- 32),

2. თოთრი - 30 წლის,

3. გლახა - 25 წლის.

ჟღარას ბიძის დოლეს ძე(ები): 1. ისმეილა - 32 წლის,

2. შუღარა - 30 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 6.

კომლი 3. სვიმონ ბეგას ძე გოლოშვილი - 60 წლის (რუსულ ტექსტში- 50),

ამისი შვილები 1. სვიმონა - 30 წლის.

2. ომანა - 25 წლის,

სვიმონას შვილი ზაქარა - 1 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 7.

კომლი 4. მილო ქუჯას ძე აჯისშვილი - 50 წლის,

ამისი შვილები: 1. ომანა - 15 წლის, ახალშობილი,

2. გიქო - 10 წლის, ახალშობილი,

3. მირმანოზ - 6 წლის, ახალშობილი.

მილოს ძმები: 1. გობა - 35 წლის,

2. ხუტალა - 28 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 5.

კომლი 5. გუბე ნავაგას ძე გოლოშვილი - 40 წლის,

ამისი შვილები: 1. მალხაზ - 18 წლის (რუსულ ტექსტში - 12),

2. ბარამი - 15 წლის (რუსულ ტექსტში - 10), ახალშობილი,

3. თათულა - 8 წლის, ახალშობილი.

გუბეს ძმა მოსე - 25 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 3.

კომლი 6. ყირღი ოსბეგას ძე ფერსაშვილი - 60 წლის,

ამისი შვილები: 1. ფუცი - 12 წლის, ახალშობილი,

2. ივანე - 8 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 2.

კომლი 1856 წელს გადმოსახლდა სოფელ ლომისიდან.

კომლი 7. ლეკო გაფას (რუსულ ტექსტში ფარსას) ძე აჯასშვილი - 60 წლის,

ამისი ძმები: 1. ყანიყო - 50 წლის,

2. მოსე - 40 წლის.

ყანიყოს შვილები: 1. მუშკა - 12 წლის (რუსულ ტექსტში - 20), ახალშობილი,

2. ზაქარა - 9 წლის, ახალშობილი,

3. შიო - 7 წლის, ახალშობილი,

4. რაზდენა - 5 წლის, ახალშობილი.

მოსეს შვილი გისო - 8 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 6.

კომლი 8. ნასყიდა ბიღოს ძე აჯისშვილი - 40 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 2.

რუსულ ტექსტში კომლი სოფლიდან მიგრაციის გამო გადახაზულია.

სულ სოფელ ოხირში ცხოვრობს 8 კომლი, 37 მამაკაცი და 36 ქალი (73 სული). ოსები, მართლმადიდებელი ქრისტიანები.

აღწერას ახლავს დამადასტურებელი მინაწერი: „ყოველნი სოფლის კუთვნილნი სახლობანი და მათ შორის სულნი დეკემბრის 28-ს 1859-ს წელს ამა სიასა შინა ჩვენებულ არიან ჭეშმარიტადა და გაშვებულნი არ არიან. ხოლო უკეთუ შემდეგ ამისა აღმოსჩნდეს შთამატებული რაიმე მაშინ ვიყვნეთ პასუხის მგებელნი საფუძველსა ზედა კანონთასა შედგენისათვის ამა აღწერისა, რომელსა ზედაცა ხელს ვაწერთ კნეინა ქეთევან ჯამბაკურიან ორბელიანოვის მოურავნი: სოსია მამამთავრის შვილი, ხოსრო ბალაშვილი, და ნინიკა პავლე შვილი. რადგანაც ამათ წერა არ იცოდნენ, ამათის თხოვნით და ხელის ჩამორთმევით ხელს ვაწერ სვიმონ ბეჟანის ძე გიგაური“ **(სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 255, ფურ. 261-264).**

ნასოფლარი ოხირი, ქარჩოხის, იგივე ცხმორის ციხის მიდამოებში მდებარეობს. როგორც ს. მაკალათია წერს, „ქარჩოხის ციხე-დარბაზი ქსნის მარცხენა მხარეზეა, იქ, სადაც ქსანს ერთვის ოხირის ხევი... ძნელი მისადგომია: იგი მაღალ კლდოვან ბორცვზეა აგებული; შორიდან კარგად მოჩანს. ქარჩოხის ხეობა აქ გაშლილია და ციხე-დარბაზიც ლამაზ სანახაობას წარმოადგენს" **(მაკალათია, 1968: 108-109).**

პ. ზაქარაია ზურგიანი კოშკის აშენების თარიღად VI-VII საუკუნეებს მიიჩნევს, კომპლექსის შემდეგი ზრდას კი IX-X საუკუნეებში ფიქრობს **(ზაქარაია, 1981: 8-9).** ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე უძველესი დროიდან უნდა ყოფილიყო დამკვიდრებული ქართული მოსახლეობა. სამთავნელის სარგოს X საუკუნის ნუსხაში, ისევე როგორც XV საუკუნის დრამისა და შესავლის გარიგების წიგნში მოხსენიებულია სოფელი ქარჩუხი **(კაკაბაძე, 1929: 10. ჯავახიშვილი, 1974: 10),** რომლის ცენტრიც სწორედ ქარჩოხის ციხის მიმდებარე ტერიტორია უნდა ყოფილიყო. სოფელ ოხირში ოსების დასახლება XVIII საუკუნიდან უნდა ვივარაუდოთ, როგორც ლომისაზე საუბრისას აღვნიშნეთ, ქსნის ხეობის ოსების საკომლო მამულების ნუსხის მიხედვით, ლომისისა და ოხირის ოსები 14 კომლია. 1803 წლის იოანე ბატონიშვილის საუფლისწულო აღწერით ოხირში 9 კომლია, 22 მამაკაცი და 14 ქალი (36 სული) **(Акты, 1868: 82).** 1804 წლის პირველ რუსულ კამერალურ აღწერაში კი 8 კომლია მითითებული, 37 მამაკაცი და 35 ქალი (72 სული). ოხირის ხეობაში ცხოვრობდნენ: ფერსაშვილები, გოლაშვილები, ბიბილუშვილები, გუდიშვილები, ჯაბისაშვილები (ჯებისაშვილები), ბაგინაშვილები, ხინჩაგაშვილები... 1860 წლის მონაცემებით ოხირის ხეობაში აღწერილები არიან: გოლოშვილები - 3 კომლი, 13 მამაკაცი, 15 ქალი, აჯიშვილები - 3 კომლი, 15 მამაკაცი, 13 ქალი, გულარიშვილები - 1 კომლი, 6 მამაკაცი, 6 ქალი, ფერსაშვილები (გადმოსახლებულნი სოფელ ლომისიდან) - 1 კომლი, 3 მამაკაცი, 2 ქალი. XX საუკუნეში ოხირის ხეობა რამდენიმე უბნად იყო დაყოფილი: გულარიანი, გოლოანი, ძებისაანი, ფერსაანი...

1979 წლის საკავშირო აღწერის მიხედვით, ოხირში 6 მცხოვრები იყო დარჩენილი, 2 მამაკაცი და 4 ქალი 1989 წლის აღწერით კი ოხირი უკვე ნასოფლარია **(საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020).** ოხირის ბოლო მკვიდრი ილიკო გულაროვის ოჯახი იყო, რომელიც ვლადიკავკაზთან ახლოს გიზელში გადასახლდა. სოფელი გაცილებით ადრე დატოვეს ძებისაანთ უბანში მცხოვრებმა სერგო ძებისოვის ოჯახმა, გოლოიანში მცხოვრებმა შაქრო ხინჩაგოვის ოჯახმა, ფერსაანში მცხოვრებმა ზაქრო ფერსაევისა და სიმონ ქისიევის ოჯახებმა. ქისიევი ზესიძედ ყოფილა სოფელ ლომისიდან მისული, ისევე როგორც შაქრო ხინჩაგოვი - მუჯუხიდან.

კამერალური სია შედგენილი 1860 წლის 16 მარტს.

სოფელ პავლიანთკარში თავად დავით ლუარსაბის ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (რუსული ტექსტი). წყაროში გვარი მითითებულია როგორც პავლეშვილი, რასაც ქვემოთ ვასწორებთ.

კომლი 1. ზაქარია ვასილის ძე პავლიაშვილი - 40 წლის,

ამისი შვილები 1. ტატო - 15 წლის, ახალშობილი,

2. გიორგი - 12 წლის, ახალშობილი,

3. ელო - 7 წლის, ახალშობილი,

4. ნინიკა - 2 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 3.

კომლი - 1. მამრნი - 5. მდედრნი - 3.

დამოწმებულია დავით ლუარსაბის ძე ერისთავის მიერ.

კამერალური სია შედგენილი 1860 წლის 14 თებერვალს.

სოფელ პავლიანთკარში ლევანის ძეების: თავადების ალექსანდრე, მიხეილ და ნიკოლოზ ერისთავების საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (ქართულ-რუსული ტექსტი):

კომლი 1 (2). გიორგი კაციას ძე პავლიაშვილი - 60 წლის,

ამისი შვილი გაბრიელი - 30 წლის, რუსულ ტექსტში უწერია 15 წლის, ახალშობილი.

გიორგის ძმისწული ხოსრო გამიხარდის ძე პავლიაშვილი - 40 წლის.

ხოსროს შვილები: 1. იაკოფ - 3 წლის, ახალშობილი,

ივანე - 1 წლის, ახალშობილი.

ხოსროს ძმები: 1. გიორგი - 35 წლის, გაშვებული იყო,

2. ტარიელ - 20 წლის, გაშვებული იყო.

რუსულ ტექსტში ხოსროს შვილები გამოტოვებულია და შვილებად მითითებულია ძმები: გიორგი და ტარიელი, რაც შეცდომაა, 40 წლის კაცს 35 წლის შვილი ვერ ეყოლებოდა.

კიდევ გიორგის ძმისწული სოსე იასეს ძე პავლიაშვილი - 5 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 9.

კომლი 2 (3). გიორგი ბაქუზას ძე პავლიაშვილი - 50 წლის,

ამისი ძმა ნინიკა - 40 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 9.

კომლი 3 (4). ბერო ნინიას ძე პავლიაშვილი - 70 წლის,

ამისი შვილები: 1. შიო - 40 წლის,

2. სოსე - 16 წლის, ახალშობილი,

3. ნინიკა - 13 წლის, ახალშობილი,

4. ზაქარა - 10 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 4.

კომლი 4 (5). გიგოლა კაციას ძე პავლიაშვილი - 60 წლის, გაშვებული იყო,

გიგოლას შვილები: 1. დავით - 17 წლის,

2. ანდრია - 15 წლის, ახალშობილი,

3. ალექსა - 7 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა მითითებული არ არის.

კომლი 5 (6). თევდორე აღდგომელის ძე პავლიაშვილი - 40 წლის, გაშვებული იყო,

ამისი შვილები: 1. გოგილა - 15 წლის, ახალშობილი,

2. ზაქარა - 13 წლის, ახალშობილი,

3. დათო - 10 წლის, ახალშობილი,

4. გიორგი - 8 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 2.

კომლი - 5. მამრნი - 24. მდედრნი - 24.

აღწერას ახლავს დამადასტურებელი მინაწერი „ყოველნი სოფლის კუთვნილნი სახლობანი და მათ შორის სულნი თხუთმეტს რიცხვსა შინა თებერვლისასა 1860 წელსა ამას სიას შინა ჩვენებულ არიან ჭეშმარიტად და გაშვებულნი არ არიან. ხოლო უკეთუ შემდეგ ამისა აღმოსჩნდეს შთამატებული რაიმე, მაშინ ვიყო პასუხის მგებელი საფუძველსა ზედა კანონთასა შედგენისათვის ამა აღწერისა, რომელზედაც ხელს ვაწერ თ˜ა ალექსანდრე ლევანის ძე ერისთავი“ (ხელმოწერილია).

სოფელ პავლიანთკარში გენერალ მაიორის თავად მამუკა ჯამბაკურ ორბელიანის კნეინა ქეთევანის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (ქართულ-რუსული ტექსტი):

კომლი 1 (7). ნინია მამუკას ძე ლოთო შვილი (ლოთიშვილი) - 60 წლის, გაშვებული იყო,

ამისი შვილები: 1. გიორგი - 15 წლის, ახალშობილი,

2. ივანე - 3 წლის, ახალშობილი.

3. მამუკა - 1 წლის, ახალშობილი.

ძმები ნინიასი: 1. ბასილა - 45 წლის,

ამისი შვილები: 1. დათიკო - 12 წლის, ახალშობილი,

2. მოსე - 8 წლის, ახალშობილი.

3. ლოთე - 2 წლის, ახალშობილი.

ბიძაშვილი ნინიასი ივანე ლოთიშვილი - 40 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 6.

კომლი 2 (8). ნინია პეტრეს ძე პავლიაშვილი - 70 წლის,

ძმები ნინიასი: 1. სოსია - 55 წლის,

2. აბრამა - 30 წლის,

3. ზაქარია - 15 წლის, ახალშობილი,

4. გიგო - 10 წლის, ახალშობილი.

შვილი აბრამისა ყარამან - 4 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 6.

კომლი 3 (9). ტარიელ მიროს ძე პავლიაშვილი - 50 წლის, გაშვებული იყო,

ამისი შვილები: 1. ზაქარა - 12 წლის, ახალშობილი,

2. ბასილა - 6 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 3.

შემაჯამებელ ცნობებს ხელს აწერენ ქარჩოხის ხეობის ნაცვალი გიგო კარელიძე და აღმორჩეული კაცნი ხოსრო და გიგოლა ბალაშვილები. რადგან ამათ წერა არ იცოდნენ, ამათი თხოვნით ხელს აწერს ისაკ დურგლიოვი (დურგლიშვილი).

ჩამონათვალს ისევ ქეთევან ჯამბაკურ-ორბელიანის ყმა მოსდევს:

კომლი 4 (10). დათიკო იაკობის ძე პავლიაშვილი - 40 წლის, გაშვებული იყო,

ბიძაშვილები დათიკოსი, შიოს ძენი:

1. მოსე - 38 წლის,

2. ნინიკა - 20 წლის.

მოსეს შვილი გიორგი - 1 წლის, ახალშობილი,

ბიძაშვილი დათიკოსი გიორგი დავითის ძე - 28 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 5.

კომლი - 4. მამრნი - 23. მდედრნი - 20.

შემაჯამებელ ცნობებს ხელს აწერენ ქარჩოხის ხეობის ნაცვალი გიგო კარელიძე და აღმორჩეული კაცნი ტარიელ და ნინიკა პავლიაშვილები. რადგანაც ამათ წერა არ იცოდნენ, ამათი თხოვნით და ხელის ჩამორთმევით, ხელს აწერს ისაკ დურგლიოვი (დურგლიშვილი).

სოფელ პავლიანთკარში თავად რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები:

კომლი 1 (11). გიორგი ოქროპირის ძე პავლიაშვილი - 35 წლის,

ამისი შვილი დავითი - 8 წლის, ახალშობილი.

გიორგის ძმა პეტრე - 20 წლის, გაშვებული იყო.

ბიძაშვილები გიორგისი: 1. ბერო პავლეს ძე - 16 წლის, ახალშობილი,

2. სახელა - 10 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 6.

კომლი 2 (12). ნინიკა თევდორეს ძე პავლიაშვილი - 40 წლის,

შვილები ნინიკასი: 1. სოსე - 12 წლის, ახალშობილი,

2. ბერუა - 8 წლის, ახალშობილი,

3. ივანე - 6 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 2.

კომლი - 2. მამრნი - 9. მდედრნი - 8.

ცნობები დაზუსტებულია თავად რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავის წარმომადგენლის გიორგი დვანაძის მიერ (გიორგი დვანაძე იყო ქართველი მსახიობი, პოეტი, ქსნის ერისთავებთან დაახლოებული პირი, გიორგი ერისთავის თეატრალური დასის ერთ-ერთი პირველი წევრი. მისი ლექსები იბეჭდებოდა „ცისკარში“, წერდა პიესებს).

სულ სოფელ პავლიანთკარში ცხოვრობს 12 კომლი, 61 მამაკაცი და 55 ქალი (116 სული). ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები **(სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 252, ფურ. 478-487).** 1804 წლის აღწერით პავლიანთკარში 14 კომლი ცხოვრობდა, 77 მამაკაცი და 56 ქალი (133 სული). სამთავისის საყდრის გამოსავლის დავთარში პავლიაშვილების გვერდით ონიკაშვილების

რამდენიმე ოჯახს ვხვდებით **(ჯავახიშვილი, 1974: 175; ქართული სამართლის ძეგლები, 1970: 1046),** ისინი ამ გვარის განაყარი შტოა და XVIII საუკუნის II ნახევრის აღწერებში ხან პავლიაშვილებად ეწერებიან, ხან ონიკაშვილებად. 1860 წლის აღწერის მონაცემებით კი პავლიანთკარში ორი გვარი მკვიდრობდა, პავლიაშვილები - 11 კომლი, 52 მამაკაცი და 49 ქალი (101 სული) და თინიკაშვილებისგან განაყარი ხოკრიშვილები - 1 კომლი, 9 მამაკაცი და 1 ქალი. ამ პერიოდში ხოკრიშვილების 2 კომლი ცხოვრობდა კარელთკარშიც. თავის მხრივ პავლიაშვილებისაგან მოდის გვარი ელოშვილი, ისინი, ლომისის სალოცავთან ახლოს სოფელ ელოიანში მკვიდრობდნენ. როგორც გ. ჯალაბაძე აღნიშნავს: პავლიაშვილების სხვადასხვა დროს გადასახლებულან ლამისყანაში, ოძისში, ძალისში, ტყვიავში, თბილისში, რუსთავში ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში (ძველი გავაზი), გორში, კასპში, იგოეთში, ვლადიკავკაზსა და ჩრდილო ოსეთის სოფელ ბალთაში. „პავლიაშვილების და არა მარტო პავლიაშვილების დენა მთის სოფლიდან სხვა უკეთესი საცხოვრისის ძიებით არის გამოწვეული. უკანასკნელი წლების მანძილზე მასიურად მიდიან ჩრდილო ოსეთში, სახელდობრ ბალთაში" **(ჯალაბაძე, 1975: 16).**

მას შემდეგ რაც გორის მუნიციპალიტეტის სოფელი ატენი ცნობილ გენერალს გიორგი ერისთავს გადაეცა, XIX საუკუნის პირველ მეოთხედში პავლიაშვილების დიდი ნაწილი ატენის ხეობაში დამკვიდრდა.

2002 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, სოფელ პავლიანში 78 მცხოვრები იყო, 38 მამაკაცი და 40 ქალი **(საქართველოს მოსახლეობის... 2003: 119).** დღეს პავლიაშვილები ერთ-ერთი დიდი გვარია საქართველოში, 2016 წლის აღწერით - 2975 ადამიანი, უმეტესობა თბილისში - 867, გორში - 694 და მცხეთაში - 194 სული ცხოვრობს. ახალგორში - 159 სულია მითითებული, მათ შორის დიდი ნაწილი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დევნილი მოსახლეობაა.

კამერალური სია შედგენილი 1860 წლის 16 მარტს.

სოფელ შატაკიანთკარში თავად დავით ლუარსაბის ძის ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (რუსული ტექსტი):

კომლი 1. გოგია გოგილოს ძე შატაკიშვილი - 35 წლის, გაშვებული იყო.

რიცხვი დედაკაცთა - 1.

კომლი 2. გლახა ივანეს ძე შატაკიშვილი - 35 წლის,

ამისი შვილი აბრამ - 7 წლის, ახალშობილი.

გლახას ძმები: 1. სოსიკა - 25 წლის, გაშვებული იყო,

გიორგი - 8 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 4.

კომლი - 2. მამრნი - 5. მდედრნი - 5.

დამოწმებულია დავით ერისთავის მიერ.

კამერალური სია შედგენილი 1860 წლის 14 თებერვალს.

სოფელ შატააკიანთკარში ლევანის ძეების, თავადების ალექსანდრე, მიხეილ და ნიკოლოზ ერისთავების საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (ქართულ-რუსული ტექსტი):

კომლი 1 (3). გიორგი ხოსროს ძე შატაკიშვილი - 30 წლის, გაშვებული იყო,

ამისი ბიძაშვილები, ნინიკას ძეები, შატაკიშვილები:

1. ზაქარია - 8 წლის, ახალშობილი

2. მათე - 6 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა მითითებული არ არის.

კომლი - 1. მამრნი - 3. მდედრნი - 0.

აღწერას ახლავს დამადასტურებელი მინაწერი: „ყოველნი სოფლის კუთვნილნი სახლობანი და მათ შორის სულნი 15 რიცხვსა შინა თებერვლისასა ჩყისა წელსა ამა სიასა შინა ჩვენებულ არიან ჭეშმარიტად და გაშვებულნი არ არიან. ხოლო უკეთუ შემდეგ ამისა აღმოსჩნდეს შთამატებული რაიმე მაშინ ვიყვნეთ პასუხის მგებელნი საფუძველსა ზედა კანონთსა შედგენისათვის ამა აღწერისა, რომელზედაც ხელს ვაწერ თ~ა ალექსანდრე ლევანის ძე ერისთავი“ (ხელმოწერილია.

კამერალური სია შედგენილი 1860 წლის 14 თებერვალს.

სოფელ შატაკიანთკარში ლევან ლუარსაბის ძე ერისთავის საბატონო მამულზედ მცხოვრები ყმა (რუსული ტექსტი):

კომლი 1 (4). ნინიკა გიორგის ძე შატაკიშვილი - 15 წლის.

კომლი - 1. მამრი - 1. მდედრი - 0.

სოფელ შატაკიანთკარში გენერალ მაიორის თავად მამუკა ჯამბაკურ ორბელიანის კნეინა ქეთევანის საბატონო მამულზედ მცხოვრები ყმები (ქართულ-რუსული ტექსტი):

კომლი 1 (5). ფიდო გრიგოლის ძე პავლეშვილი (პავლიაშვილი) - 80 წლის.

ამისი შვილები: 1. მალხაზ - 12 წლის, ახალშობილი.

2. სვიმონ - 2 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 1.

კომლი 2 (6). გიორგი სიმონის ძე პავლეშვილი (პავლიაშვილი) - 20 წლის, გაშვებული იყო.

ამისი ძმა ზაქარა - 10 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 3.

კომლი 3 (7). გიორგი სოსიას ძე პავლეშვილი (პავლიაშვილი) - 50 წლის, გაშვებული იყო

რიცხვი დედაკაცთა მითითებული არ არის.

კომლი 4 (8). შიო გიგოლას პავლეშვილი (პავლიაშვილი) - 40 წლის,

ამისი შვილები: 1. გიგოლა - 8 წლის, ახალშობილი

2. სოსიკა - 2 წლის, ახალშობილი.

ძმები შიოსი: 1. თადნია - 15 წლის, ახალშობილი.

2. ივანე - 10 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 2.

კომლი 5 (9). პეტრე გელიას ძე პავლეშვილი (პავლიაშვილი) - 60 წლის, გარდაიცვალა 1860 წელს.

ამისი შვილი იაკობი - 30 წლის,

იაკობის შვილები: 1. დიმიტრი - 8 წლის, ახალშობილი,

2. სოსიკა - 4 წლის, ახალშობილი.

ბიძაშვილი პეტრესი გიორგი ღვინიას ძე - 25 წლის, გაშვებული იყო.

რიცხვი დედაკაცთა - 4.

კომლი 6 (10). გიორგი სიხარულის ძე შატაკიშვილი - 40 წლის,

ამისი შვილები 1. გიორგი - 12 წლის, ახალშობილი,

2. მანძულა - 8 წლის, ახალშობილი,

3. სოსიკა - 4 წლის, ახალშობილი.

ძმიშვილი გაბრიელისა მალხაზ იოსების ძე - 13 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 2.

კომლი 7 (11). ნინიკა მოსეს ძე შატაკი შვილი - 15 წლის, ახალშობილი,

ამისი ძმა შიო - 5 წლის, ახალშობილი.

2. მანძულა - 8 წლის, ახალშობილი,

3. სოსიკა - 4 წლის, ახალშობილი.

ძმიშვილი გაბრიელისა მალხაზ იოსების ძე - 13 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა მითითებული არ არის.

კომლი - 7. მამრნი - 26. მდედრნი - 12.

სულ სოფელ შატაკიანთკარში ცხოვრობს 35 მამაკაცი (წყაროში შეცდომით 31 - ია მითითებული) და 17 ქალი (სულ: 52).

დადასტურებულია ქარჩოხის ხეობის ნაცვლის იასე საბიაშვილის, აღმორჩეული კაცების ფრიდონ პავლეშვილის (პავლიაშვილის) და სოსიკა აბრამიშვილის მიერ. რადგანაც ამათ წერა არ იცოდნენ, ამათი თხოვნით და ხელის ჩამორთმევით ხელს აწერს ისაკ დურგლიოვი (დურგლიშვილი) **(სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 252, ფურ. 507-515).** შატაკიშვილების საგვარეულო წიგნის ავტორის ალ. ნაზღაიძის ცნობით: „შატაკიშვილების ბუდე - პირველსაცხოვრისი ქარჩოხის ნასოფლარი შატაკთკარია, ყველა შატაკიშვილი, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს, თავის წარმომავლობით ამ ნასოფლარს უკავშირდება... ზეპირი გადმოცემით შატაკიშვილების წინა გვარი წიკლაური ყოფილა. რახან შატა||შატაი კაცის სახელია, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ოდესღაც ვინმე შატა, იგივე შატაკა წიკლაური ქარჩოხის თემში დასახლებულა, მის შვილებს შატაკის შვილობა გაუგვარდათ, ხოლო მათი შთამომავლების დასახლებას შატაკთკარი დაერქვა" **(ნაზღაიძე, 2013: 5-6).** მკვლევარი არაგვიდან ქსნის ხეობაში შატაკიშვილების წინაპრის გადმოსვლას XVII-XVIII საუკუნეების მიჯნას უკავშირებს.

შატაკიანთკარის და უფრო ადრე ანდრიაწმინდულის ნასოფლარი დღევანდელი დოჩიანის ზემოთ, აღმოსავლეთითაა. სამთავისის საყდრის გამოსავლის დავთარში შატაკიანთკარში 7 კომლი ყოფილა, 6 - შატაკიშვილების და 1 - პავლიაშვილების **(ქართული სამართლის ძეგლები, 1970: 1045; ჯავახიშვილი, 1974: 174).** XIX საუკუნის დასაწყისში, 1804 წლის აღწერით, შატაკიანთკარში 15 კომლი მკვიდრობდა, 13 კომლი შატაკიშვილების და 2 კომლი პავლიაშვილების, სულ 57 მამაკაცი და 45 ქალი **(გსიემ, 1956: 68-70).** 1860 წლის აღწერაში კი შატაკიშვილების ასეთი დომინაცია უკვე აღარაა, 11 კომლიდან 6 კომლი შატაკიშვილია, 19 მამაკაცი და 7 ქალი, 5 კომლი პავლიაშვილია, 16 მამაკაცი და 10 ქალი. დემოგრაფიული პროცესების ამგვარი განვითარება დაკავშირებულია შატაკიშვილების მიგრაციასთან ატენის ხეობაში, რასაც XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჰქონდა ადგილი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ატენის ბატონმა გენერალმა გიორგი ერისთავმა ქსნის ხეობიდან 50 ოჯახი ჩაასახლა ატენის ხეობაში. რაც შეეხება პავლიაშვილებს, მოგვიანებით ისინი ყვარლის მუნიციპალიტეტის ახალსოფელში დამკვიდრდნენ. ბოლოს, შატაკიანთკარის სიახლოვეს, ახლანდელ სოფელ დოჩიანში ქარჩოხის სხვადასხვა სოფლებიდან მოსული რამდენიმე ოჯახი დასახლდა: პავლიაშვილების, ხოკრიშვილების, წიპტაურების, თინიკაშვილების, კარელიძეების...

კამერალური სია შედგენილი 1860 წლის 14 თებერვალს.

სოფელ წიპტაურთკარში იგივე კვერიათში თავად რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (რუსული ტექსტი):

კომლი 1. გარსევან გრიგოლის ძე წიპტაური - 55 წლის,

ამისი შვილები 1. ზაქარა - 16 წლის, ახალშობილი,

2. გოგია - 10 წლის, ახალშობილი,

3. მახარებელი - 5 წლის, ახალშობილი.

ძმები გარსევანისა: 1. გაბიდა - 36 წლის,

2. მოსე - 34 წლის.

შვილები გაბიდასი: 1. გიგოლა - 7 წლის, ახალშობილი,

2. პეტრე - 4 წლის, ახალშობილი.

ძმიშვილი გარსევანისა გლახა გიგოლას ძე - 12 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 4.

კომლი - 1. მამრნი - 9. მდედრნი - 4.

დამოწმებულია გიორგი დვანაძის მიერ.

კამერალური სია შედგენილი 1860 წლის 14 თებერვალს.

სოფელ წიპტაურთკარში ლევანის ძეების, თავადების ალექსანდრე, მიხეილ და ნიკოლოზ ერისთავების ყმები (ქართულ-რუსული ტექსტი):

კომლი 1 (2). სიხა გლახას ძე წიპტაური - 50 წლის, გაშვებული იყო.

ამისი შვილი ფიდუა - 3 წლის, ახალშობილი.

სიხას ძმა როსტომა - 20 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 5.

კომლი 2 (3). ნინიკა ბერუას ძე წიპტაური - 51 წლის, გაშვებული იყო,

ამისი შვილები: 1. სოსიკა - 15 წლის, ახალშობილი,

2. დათო - 11 წლის, ახალშობილი,

3. გრიშკა - 4 წლის, ახალშობილი.

ნინიკას ძმები: 1. გლახა - 35 წლის,

2. გაბრიელ - 20 წლის,

3. გიორგი - 15 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 5.

კომლი - 2. მამრნი - 10. მდედრნი - 10.

სულ სოფელ წიპტაურთკარში ცხოვრებს 3 კომლი, 19 მამაკაცი და 14 ქალი (33 სული). ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები.

აღწერას ახლავს დამადასტურებელი მინაწერი: „ყოველნი სოფლის კუთვნილნი სახლობანი და მათ შორის სულნი თხუთმეტს რიცხვსა შინა თებერვლისასა 1960 წელსა ამას სიას შინა ჩვენებულ არიან ჭეშმარიტად და გაშვებულნი არ არიან. ხოლო უკეთუ შემდეგ ამისა აღმოსჩნდეს შთამატებული რაიმე, მაშინ ვიყვეთ პასუხის მგებელი საფუძველსა ზედა კანონთასა შედგენისათვის ამა აღწერისა, რომელზედაც ხელს ვაწერ თ˜ა ალექსანდრე ლევანის ძე ერისთავი“ (ხელმოწერილია) **(სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 252, ფურ. 457-460).**

ისტორიულ სოფელ კვერიათში, რომელსაც შემდეგ აქ მცხოვრები გვარის მიხედვით წიპტაურთკარი ეწოდა, ძირითადად წიპტაურები და პავლიაშვილები ცხოვრობდნენ. წიპტაურები წიკლაურების შთამომავლები არიან, XVIII საუკუნის მეორე ნახევრის სამთავისის საყდრის გამოსავლის დავთარში მითითებულია წიკლაური **(ქართული სამართლის ძეგლები, 1970: 1047-1048; ჯავახიშვილი, 1974: 176).** იმავე პერიოდის ქსნის საერისთავოს სტატისტიკურ აღწერილობებში კი - წიპტაურია. 1804 წლის აღწერით კვერიათში 7 კომლია, ამ დროისთვის პავლიაშვილები აქ აღარ გვხვდებიან, ყველა მათგანი წიპტაურია **(გსიემ, 1956: 74).**

წიპტაურების ძველი ნასახლარები და სასაფლაო კვერიათის ციხის ჩრდილოეთით მდებარეობს, საიდანაც შემდგომში შედარებით ქვემოთ, სოფელ კარელთკართან ახლოს ახალ სამოსახლოში დამკვიდრდნენ. პავლიაშვილების წინაპრებს მუხიშართის მიდამოებში ჰყოლიათ ცხვარ-ძროხა. რძეს და დოს, სასმელ წყალთან ერთად თიხის მილების მეშვეობით აწვდიდნენ ჩრდილოეთით პოროლიანში.

2002 წლის მონაცემებით, ქვემო წიპტაურებში ჯერ კიდევ 38 ადამიანი ცხოვრობდა, 18 მამაკაცი და 20 ქალი **(საქართველოს მოსახლეობის... 2003: 120).** გარდა ამისა, ორი კომლი წიპტაურებიდან დოჩიანში დასახლდა, ერთი კომლი - ქენქაანში.

აგვისტოს ომის შემდეგ წიპტაურებს კიდევ ერთხელ მოუხდათ სამკვიდროს დატოვება, ოღონდ ამჯერად იძულებით და მამაპისეული კერიდან საკმაოდ შორს - დევნილთა დასახლებებში. დღეს ქვემო წიპტაურებიც ნასოფლარია...

დასკვნები:

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზემო ქარჩოხის ხეობის სოფლების შესახებ ცნობები X საუკუნის სამთავნელის სარგოს ნუსხაში გვხვდება, უფრო ვრცელ ცნობებს დემოგრაფიული და ეკონომიკური ყოფის შესახებ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ვხვდებით. იმ დროისთვის ზემო ქარჩოხის ხეობაში 7 სოფელი იყო: შატაკიანთკარი, პავლიანთკარი, თინიკაანთკარი, ვაკე, კვერიათი, ლომისი, ოხირი.

XIX საუკუნის 60-იანი წლებში ყველა ამ სოფელს ვხვდებით.

XVIII საუკუნიდან მოყოლებული ზემო ქარჩოხის ორმა სოფელმა შეიცვალა სახელწოდება, რაც გამოწვეული იყო იქ დასახლებული გვარების დომინაციით: ვაკეს კარელთკარი ეწოდა, კვერიათს - წიპტაურთკარს.

ზემო ქარჩოხის ხეობის მოსახლეობა ეთნიკურად ქართველები იყვნენ. XVIII საუკუნიდან ძველ ქართულ სოფლებში ლომისში და ოხირის ხეობაში ჩრდილო კავკასიიდან გადმოსახლებული ოსები დამკვიდრდნენ, რომლებმაც გაითავისეს ქართული ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები, მათი გვარებიც ქართული გვარების მსგავსად შვილზე მთავრდება.

XIX საუკუნის 60-იან წლებში ზემო ქარჩოხის ხეობაში ცხოვრობდნენ, ქართველები: თინიკაშვილები, შადნიაშვილები, კარელიძეები, პავლიაშვილები, ხოკრიშვილები, შატაკიშვილები, წიპტაურები... ოსები: გოლოშვილები, აჯიშვილები, გულარიშვილები, ფერსაშვილები, ყარაშვილები, გოჭისშვილები, გურჭიშვილები (გურწიშვილები), ქისიშვილები, გიჟოშვილები (გიზოშვილები)...

ქარჩოხის ხეობიდან ხშირი იყო როგორც შიდა მიგრაციის ისე ქართლის ბარში გადასახლების ფაქტები, განსაკუთრებით ეს ჩანს ხეობაში მცხოვრები ოსების შემთხვევებში, ისინი ჯერ სამხრეთით მდებარე ხეობისავე სოფლებში სახლდებიან (ქისიშვილები - ქენქაანთკარში, გოლოშვილები - ჭორჭოხში), შემდეგ კი ბარისკენ გადაადგილდებიან.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ქარჩოხის ხეობის დიდი ნაწილი უკვე ნასოფლარია, დევნილი მოსახლეობა ფრეზეთისა და წეროვნის დასახლებებში ცხოვრობს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ახლოური, დ. (2007). *იოჰან (ანტონ) გიულდენშტედტი ქსნის ხეობაში,* თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი".

ახლოური, დ. (2022 ბ). გზები ქსნის ხეობაში, საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ჟურნალი „ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია", №VIII.

ახლოური, დ. (2022 ბ). *ქსნის ხეობის ისტორია,* ტ., III, თბილისი, გამომცემლობა „საარი".

ბაგრატიონი, იოანე. (1986). *ქართლ-კახეთის აღწერა,* ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება".

ბატონიშვილი, ვახუშტი. (1973). *აღწერა სამეფოსა საქართველოსა,* ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.

გვრიტიშვილი, დ. (1955). *ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან,* თბილისი, გამომცემლობა „სახელგამი".

გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. (1962). გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა, ტ., I, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. (1964). გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა, ტ., II. თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

გორის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ). (1956). *ყოფილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობის აღწერა 1804 წ.,* №7486.

ზაქარაია, პ. (1981). *ლენინგორის რაიონი (ისტორიულ-არქიტექტურული მიმოხილვა),* თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

თაყაიშვილი, ე. (2022). თხზულებანი, ტ. 12. თბილისი, გამომცემლობა არტანუჯი.

კაკაბაძე, ს. (1929). *საისტორიო კრებული,* წიგნი IV, ტფილისი.

მაკალათია, ს. (1968). *ქსნის ხეობა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი,* თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო".

ნაზღაიძე, ა. (2013). *შატაკიშვილები (საგვარეულო ისტორია),* თბილისი.

საქართველოს მოსახლეობის... (2003). *2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები (საქართველოს სოფლების მოსახლეობა),* ტ. II, თბილისი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2020). *მოსახლეობის სრულიად საკავშირო 1939, 1959, 1970, 1979 და 1989 წლების აღწერების შედეგები სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.* საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020.

სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 252. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 2, საქმე 252.*

სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 254. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 2, საქმე 254.*

სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 255. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 2, საქმე 255.*

ქართული სამართლის ძეგლები (ქსძ). (1970). *საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტ., III,* ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი.

ქენქაძე, ვ. (2010). *ქსნური ხალხური ფაბლიო,* თბილისი.

ჯავახიშვილი, ივ. (1967). *საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი 1, დემოგრაფიული ძეგლები, აღმოსავლეთ საქართველოს XVIII საუკუნის ხალხის აღწერის დავთრები,* თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება".

ჯავახიშვილი, ივ. (1974). *საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII-XIX სს.), წიგნი II,* თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება".

Акты. (1868). *собранные Кавказской археографической комиссией: Том II.* Тифлис.

REFERENCES

akhlouri, d. (2007). *iohan (anton) guldenstedti ksnis kheobashi [Johan (anton) guldenstedt in the Ksani Valley].* Tbilisi: "Universali".

akhlouri d. (2022 a). *gzebi ksnis kheobashi [roads in the ksani valley].* the international scientific electronic journal "history, archaeology, ethnology", №VIII.

akhlouri, d. (2022 b). *ksnis kheobis istoria [history of the Ksani Valley].* III. tbilisi: "Saari".

bagrationi, ioane.(1986). *kartl-kaxetis agwera [the description of kartl-kakheti],* teksti gamosacemad moamzades, gamokvleva da sadzieblebi daurtes tina enukidzem da guram bedoshvilma [the text was prepared for publication, research and references were added by tina enukidze and guram bedoshvili]. tbilisi: "metsniereba".

bat'onishvili vakhusht'i. (1973). *aghtsera sameposa sakartvelosa [description of the kingdom of georgia].* kartlis tskhovreba [georgian chronicles]. IV. teksti dadgenili kvela dziritadi khelnaweris mixedvit s. kaukhchishvilis mier [The text is established according to all major manuscripts by S. kaukhchishvili]. tbilisi: metsniereba.

gvritishvili, d. (1955). *feodaluri saqartvelos socialuri urtiertobis istoriidan (qartlis satavadoebi) [from the history of social relations of feudal georgia (kartli principalities)].* tbilisi: „sakhelgami".

guldenstedtis mogzauroba sakartveloshi [guldenstedt's trip to georgia]. (1962). germanuli teksti kartuli targmaniturt gamosca da gamokvleva daurto gia gelashvilma [the German text was published with a georgian translation and research was added by gia gelashvili]. I. tbilisi.

guldenstedtis mogzauroba sakartveloshi [guldenstedt's trip to georgia]. (1964). germanuli teksti kartuli targmaniturt gamosca da gamokvleva daurto gia gelashvilma [the german text was published with a georgian translation and research was added by gia gelashvili]. II. tbilisi.

goris istoriul-etnograpiuli muzeumi (gsiem) [gori historical-ethnographical museum]. (1956). *kofili ksnis saeristavos mosakhleobis agwera 1804 w. [population census of former ksani saeristavo in 1804]. №7486.*

zakaraya p. (1981). *leningoris raioni (istoriul-arkiteqturuli mimokhilva) [leningori region (historical-architectural review)].* tbilisi: „sabchota sakartvelo".

takaishvili, e. (2022). *tkhzulebani, t. 12. [works, t. 12]* tbilisi: artanuji.

kakabadze, s. (1929). *saistorio krebuli [historical collection],* IV, tbilisi.

nazgaidze, a. (2013). *shatakishvilebi (sagvareulo istoria) [shatakishvilis (family history)],* tbilisi.

national statistical service of Georgia. (2020). *mosakhleobis sruliad sakavshiro 1939, 1959, 1970, 1979 da 1989 aghtserebis shedegebi samkhret osetis avtonomiur olkshi [the census results of the whole unity of population in 1939, 1959, 1970, 1979 and 1970 years, in south ossetia autonomous district].* sakartvelos statistikis erovnuli samsakhuri [national statistical service of georgia], 2020.

makalatia, s. (1968). *ksnis kheoba, istoriul-etnografiuli narkvevi [ksani valley, historical-ethnographic essay].* tbilisi.

sakartvelos mosakhleobis... [the population of georgia...] (2003). *2002 wlis pirveli erovnuli sakoveltao agweris dziritadi shedegebi (sakartvelos soflebis mosakhleoba) [the main results of the first national general census of 2002 (population of the villages of georgia)], II,* tbilisi.

seasca, f. 254, Ins. 2, Case 252. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 2, saqme 252 [national archives of georgia, historikal central archive, fund 254, Ins. 2, case 252].*

seasca, f. 254, ins. 2, case 254. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 2, saqme 254 [national archives of georgia, historikal central archive, fund 254, ins. 2, case 254].*

seasca, f. 254, ins. 2, case 255. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 2, saqme 255 [National archives of georgia, historikal central archive, fund 254, ins. 2, case 255].*

kartuli samartlis dzeglebi [monuments of georgian law]. (1970). *saeklesio sakanonmdeblo dzeglebi [ecclesiastical legislative monuments] (XI-XIX), III,* tekstebi gamosca, shenishvnebi da sadzieblebi daurto prof. i. dolidzem [prof. i. dolidze added notes and published texts]. tbilisi.

kenkadze, v. (2010). *ksnuri khalkhuri fablio [ksani folk fabliau],* tbilisi.

javakhishvili, Iv. (1967). *sakartvelos ekonomiuri istoriis dzeglebi [Monuments of economic history of georgia], 1, demograpiuli dzeglebi [demographic monuments] XVIII.* tbilisi: metsniereba

javakhishvili, Iv. (1974). *sakartvelos ekonomiuri istoriis dzeglebi [monuments of economic history of georgia], (XIII-XIX), II.* tbilisi: metsniereba.

акты. (1868). *собранные Кавказской археографической комиссией: Том II.[collected by the caucasian archaeographic commission. Vol.II]* тифлис. tbilisi.